ელიავა
ბიოპრეპარატები

გოთუას ქ. 3, თბილისი, 0160, საქართველო
995 322 15 14 02
info@phage.ge
www.phage.ge

ფაგო-ენკო ბაქტერიოფაგი

პროდუქტის აღწერა

შემადგენლობა:
ფაგო-ენკო ბაქტერიოფაგი წარმოადგენს კომბინირებულ საშუალებას, რომელიც შეიცავს ფაგოლიზატების სტერილურ ნარევს, აქტიურს:
შიგელების (Shigella);
• სალმონელების (Salmonella);
• ნაწლავის ჩხირის (E.coli);
• პათოგენური სტაფილოკოკების (Staphylococcus);
მიმართ.
არააქტიური ნივთიერებების სახით: ბაქტერიულ საკვებ ბულიონს, ფიზიოლოგიურ ხსნარს.
კონსერვანტად გამოყენებულია ქინაზოლი.

აღწერა:
მოყვითალო – ღია ყავისფერი სითხე.

ფარმაკოლოგიური მოქმედება:
ენკო ბაქტერიოფაგი იწვევს ოქროსფერი და ეპიდერმალური სტაფილოკოკების, შიგელების, ნაწლავის ჩხირის და სხვადასხვა სეროტიპის სალმონელების სპეციფიკურ ლიზისს.

გამოყენების რეკომენდაციები:
ფაგო-ენკო წარმოადგენს პარასამკურნალო საშუალებას. მისი გამოყენება შესაძლებელია ბაქტერიული ინფექციების პროფილაქტიკისათვის და კომპლექსურად სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად.
ფაგო-ენკო ბაქტერიოფაგი გამოიყენება ზემოთ აღნიშნული მიკროორგანიზმებით გამოწვეული ნაწლავური ინფექციების დროს.
ენტერალური ინფექციები: დიზენტერია, სალმონელოზი, დისპეპსია, კოლიტი, გასტროენტეროკოლიტი, ქოლეცისტიტი, სტაფილოკოკური ტოქსიკოინფექციები, დისბაქტერიოზი და სხვა.

მიღების წესი და დოზირება:
ფაგო-ენკო ბაქტერიოფაგი გამოიყენება Per os, დაავადების პირველივე დღიდან 5-6 დღის განმავლობაში, შემდეგი დოზებით:
• ბავშვებში 3 წლის ასაკამდე - 5 მლ-ის ოდენობით ერთ მიღებაზე;
• ბავშვებში 3 წლის ასაკის ზევით და მოზრდილებში -10 მლ-ის ოდენობით ერთ მიღებაზე, დღეში 4-ჯერ საკვების მიღებამდე 30 წუთით ადრე. დალევის წინ რეკომენდებულია 2-3% საკვები სოდიანი ხსნარის მიღება.
ამავე დროს რეკომენდირებულია დღეში ერთხელ (უმჯობესია საღამოს, სოდიანი ხსნარით გამწმენდი ოყნის შემდეგ) ბაქტერიოფაგის შეყვანა Per rectum 10 მლ-ის რაოდენობით ბავშვებში და 20 მლ-ის რაოდენობით, მოზრდილებში.
მასიური ნაწლავური ინფექციების გამოვლინების დროს სტაციონარში მყოფ ყველა ავადმყოფს კლინიკური დიაგნოზის მიუხედავად უტარდება ფაგირება დღეში ორჯერ, 10-20 მლ-ის ოდენობით 5 დღის განმავლობაში.

განსაკუთრებული მითითებები:
გამოყენების წინ ფლაკონი უნდა შევანჯღრიოთ, სითხე უნდა იყოს გამჭვირვალე და ნალექის გარეშე. შეფუთვის დაზიანებისას ან ფლაკონში ფაგის შემღვრევის შემთხვევაში ფაგო-ენკო არ გამოიყენოთ!!! არ შეინახოთ ფლაკონის გახსნის შემდეგ!!!

ჭარბი დოზირება, უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები:
ფაგო-ენკო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ჭარბი დოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა. ბაქტერიოფაგის გამოყენებას უკუჩვენებები არ გააჩნია.
ფაგო-ენკო ბაქტერიოფაგის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:
ფაგო-ენკოს გამოყენება შესაძლებელია სხვა სამკურნალო საშუალებების პარალელურად. ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ალკოჰოლის მიღება არ არის რეკომენდირებული.
მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიები:
ორსულობა და ლაქტაცია:
ბაქტერიოფაგების გამოყენება ორსულობისას და ლაქტაციის პერიოდში დასაშვებია.
ხანდაზმულები:
ბაქტერიოფაგები ინიშნება ხანდაზმულ პაციენტებში.
გავლენა ავტომობილების მძღოლებზე და პოტენციურად საშიშ მანქანა-დანადგარებთან მომუშავე პერსონალზე:
ბაქტერიოფაგების გამოყენება არ ახდენს გავლენას ავტომობილის ან სხვა მანქანა-დანადგარების მართვის უნარზე.

შეფუთვა:
ფაგო-ენკო გამოდის 10 მლ-იან ფლაკონებში (ერთ ყუთში 5 ფლაკონი)
შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა:
ფაგო-ენკო ბაქტერიოფაგი ინახება მზის სხივებისგან დაცულ, მშრალ ადგილას, +2°C - +8°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადაა 24 თვე.

გაცემის რეჟიმი:
გაიცემა რეცეპტის გარეშე.

შემუშავებულია გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში

ფაგო-ენკო წარმოადგენს პარასამკურნალო საშუალებას და არ შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს.

მწარმოებელი:
შპს "ელიავა ბიოპრეპარატები"
გოთუას ქ. 3, თბილისი, 0160, საქართველო
ტელეფონი: +995 (32) 2151402;
ელ-ფოსტა: info@phage.ge